# კიკო და ხელი



COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE



# კიკო და ხელი





ეს კიკოა.
კიკოს გვერდით კი – მისი მეგობარი, ხელი.
„მაგრამ... განა შეიძლება, ერთი ხელი კარგი მეგობარი იყოს?“ – კითხულობს კიკო.
„აი, ამას მალე გაიგებ!“ – პასუხობს ხელი.

„გამარრჯჯობა, ხელო! მინდა, დავფრინავდე, მაგრამ ფრთები არ მაქვს“, – ამბობს კიკო.





„კარგი, **კივო**“, – **ამბობს ხელი**, –
„მე ვიქნები **შენი თვითმფრინავი**.
შეგიძლია, **დაჯდე**, მალე
**გავფრინდები.**“

ბქქქქ, – გრუხუნობს **თვითმფრინავი**.

„გამარჯჯობა, ხელო! ჩემს ფეხებს ცეკვა უნდათ, მაგრამ მუსიკა არ მაქვს“, – ამბობს კიკო.

„კარგი, კიკო“, – ამბობს ხელი, – „მე ვიქნები შენი მუსიკოსი, პიანინო მაქვს და ვიცი, როგორ ავამღერო კლავიშები.“

ლა, ლა, ლა, – უკრავს პიანინო.





„გამარჯჯობა, ხელო! მინდა, რამე გემრიელი ვჭამო, მაგრამ არ ვიცი, რა“, – ამბობს კიკო.





„კარგი, კიკო, მე ვიქნები შენი პატარა მცხობელი“, – ამბობს ხელი, – „გინდა ვაშლის, შოკოლადის, ძირტკბილას ან ბანანის ნამცხვარი?“

„ მინდა ვაშლის, შოკოლადის, ძირტკბილას ან ბანანის ნამცხვარიიი!“ – ყვირის კიკო.

„ნიამ, ნიამ, ნიამ.“





„გამარრჯჯობა, ხელო! დაჭერობანას თამაში მინდა, მაგრამ მარტო ვერ ვითამაშებ!“ – ამბობს კივო.

„კარგი, კივო, მე გეთამაშები“, – ამბობს ხელი.

„შეიძლება, თმაზე შეგეხო?“ – კითხულობს ხელი.

„რასაკვირველია, შეიძლება“, – ამბობს კივო.



„შეიძლება, **ცხვირზე შეგეხო?“** –
კითხულობს **ხელი**.

„კი, **შეიძლება“, – ამბობს კიკო**.

„შეიძლება, ხელზე შეგეხო?“ –
კითხულობს **ხელი**.

„კი, **შეიძლება“, – ამბობს კიკო**.



„შეიძლება, **საცვლების** შიგნით **შეგეხო?“** -კითხულობს ხელი.

„არა!“ – ყვირის **კივო**, –

„არ შეიძლება!“



„ძალიან კარგი, კიკო“, – ამბობს ხელი, – „არავის აქვს უფლება, შეგეხოს საცვლების შიგნით! ასეთია საცვლების წესი, და თუ ვინმე შეგეხება, შეატყობინე ამის შესახებ უფროსებს. არ შეინახო ეს საიდუმლოდ.“





„გამარჯჯობა, ხელო! მინდა, საოცრებათა ქვეყანაში ვიმოგზაურო, მაგრამ არ ვიცი, იქ როგორ მოვხვდე“, – ამბობს კიკო.

„კარგი, კიკო, მე გაჩვენებ გზას“, – ამბობს ხელი. „დაწექი შენს პატარა საწოლში, დახუჭე თვალები და იქ აღმოჩნდები.“



„ზზზზზზზზზზზზზ“, - ამბობს კიკო.

ყოველი ხუთი ბავშვიდან ერთი სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ხდება. ეს სახელმძღვანელო მოამზადა ევროპის საბჭომ, „ONE in FIVE“ კამპანიის ფარგლებში, რომლის მიზანია ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის შეჩერება.

ევროპის საბჭოს კამპანია ბავშვების წინააღმდეგ სექსუალური ძალადობის შესაჩერებლად

one in five
un sur cinq

Council of Europe campaign to stop sexual violence against children

www.coe.int/oneinfive

© Council of Europe, 2011 English publication; © Council of Europe, 2018 Georgian version
All rights reserved

კონცეფციის ავტორი: გრეი ამსტერდამი
ბეჭდვა: სარეკლამო კომპანია „რგოლი“
ილუსტრაციები: პუნგა
მადლობას ვუხდით რიკი შრევერსა და მანონ სიკელს.



The picture can't be displayed.

COUNCIL OF EUROPE

გამოცემა ბავშვებს განუმარტავს საცვლების წესს.
შეგიძლიათ, ის თქვენს პატარებსაც წაუკითხოთ, რათა
მათ ერთმანეთისგან განასხვაონ მისაღები და
მიუღებელი შეხების ფორმები.
ამ თემაზე მეტის გასაგებად, იხილეთ:

www.underwearrule.net



ასწავლეთ თქვენს ბავშვებს წესი საცვლების
შესახებ: www.underwearrule.net